

„სოხუმმა გაეროში სიტყვის უფლება მოითხოვა“

დე-ფაქტო აფხაზეთის ე.წ. საგარეო საქმეთა მინისტრმა დაურ კოვემ გაეროს ახალ გენერალურ მდივანს ანტონიო გუტერეშს წერილით მიმართა. სოხუმი ითხოვს, რომ მას გაეროში, საქართველოსთან კონფლიქტის თაობაზე, საკუთარი პოზიციის დაფიქსირების საშუალება მიეცეს.

„აფხაზეთის წარმომადგენლები აქტიურად მონაწილეობენ ჟენევის დისკუსიებში, რომელიც ერთადერთ საერთაშორისო ფორმატია, რომლის ფარგლებში, ჩვენ ჩვენი პოზიციის დაფიქსირება და აზრის გამოთქმა შეგვიძლია, ასევე ხაზი უნდა გაესვას იმას, რომ ეს ერთადერთი საერთაშორისო სივრცეა, სადაც აფხაზური და ქართული მხარეები ერთმანეთს ხვდებიან“, - აღნიშნა დაურ კოვემ.

თუმცა, მან აქვე მიუთითა, რომ საქართველოს წარმომადგენლებს თავისი პოზიციის გასაქვეყნებლად გაცილებით ფართო შესაძლებლობები აქვთ, რადგან ისინი სხვადასხვა საერთაშორისო სივრცეს იყენებენ, მათ შორის, ისეთ ავტორიტეტულსაც, როგორცაა - გაერთიანებული ერების ორგანიზაცია.

დაურ კოვეს თქმით, „აფხაზეთის რესპუბლიკა მოკლებულია ასეთ შესაძლებლობას, რაც აფხაზურ და ქართულ მხარეს არათანაბარ მდგომარეობაში აყენებს. შესაბამისად, ასეთი ვითარება არ ემსახურება მშვიდობის დამყარებას და არსებული უთანხმოებების დაძლევას“.

05.01.2017 EurAsiaDaily <https://eadaily.com/ru/news/2017/01/05/abhaziya-poproshila-guterrisha-dat-ey-slovo-v-oon>

„სოფელ წებელდაში მე-19 საუკუნის ბოლოს აგებული ეკლესია და პატარა სასაფლაო გაანადგურეს“

სოფელ წებელდაში გაანადგურეს ეკლესია და პატარა სასაფლაო, რომელიც მე-19 საუკუნის ბოლოსაა აგებული კომპაქტურად ჩასახლებული პოლონელების მიერ და ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის რეესტრშია რეგისტრირებული. ამ დროისთვის, ეკლესიის ფუნდამენტი და ნანგრევების ფრაგმენტები იყო შემორჩენილი.

2011 წელს დე-ფაქტო აფხაზეთის ე.წ. მიმისტრთა კაბინეტის გადაწყვეტილებით, სოფელ წებელდის მიმდებარე ტერიტორია, რუსეთის სასაზღვრო სამმართველოსთან ერთობლივი სწავლებების ჩასატარებლად ე.წ. თავდაცვის სამინისტროს გადაეცა, რომლის განკარგულებითაც ა.წ. 3 იანვარს მომავალი პოლიგონის მშენებლობის გამო ეკლესია და სასაფლაო ბულდოზერით მიწასთან გაასწორეს.

წებელდის ე.წ. ადმინისტრაციის ხელმძღვანელის გრიგორი კალიაძეჯანის და დე-ფაქტო აფხაზეთის პარლამენტის ე.წ. დეპუტატის გენადი შინკუბას განცხადებით, ადგილობრივი მოსახლეობის დაჟინებული მოთხოვნით, სამუშაოები დროებით შეჩერებულია.

ე.წ. კულტურის სამინისტროს სპეციალისტების განცხადებით, შედგენილია შესაბამისი ოქმი, თუმცა, მათივე თქმით, ეკლესია და სასაფლაო აღდგენას არ ექვემდებარება. დე-ფაქტო აფხაზეთის ე.წ. კულტურის მინისტრის მოადგილის ბატალ კობახიას განცხადებით, სასაფლაო მემორიალური ობიექტია და მისი აღება მხოლოდ სპეციალური ნებართვის შემდეგ იქნებოდა შესაძლებელი. გარდა ამისა, კობახიამ აღნიშნა, რომ სოფლის მიმდებარე ტერიტორიაზე, უკვე დიდი ხანია, სამხედრო სწავლებები იმართება, რაც სოფლის მცხოვრებლებისთვის საშიშროებაა და ზიანს აყენებს მათ სახლებს და საქონელს. მისივე ინფორმაციით, ადგილობრივმა მოსახლეობამ არა ერთხელ მიმართა რაიონის ხელმძღვანელს და სამხედროებს, თუმცა, ამას რეაქცია არ მოჰყოლია.

ბატალ კობახიამ აღნიშნა, რომ სამხედრო პოლიგონის მახლობლად ასევე მდებარეობს ისტორიულ-არქიტექტურული ნაკრძალი „წებელდის ციხესიმაგრე“, რომელსაც, სამხედრო სწავლებების გამო, განადგურების საფრთხე ემუქრება.

ამ დროისთვის, ყველა სამუშაო შეჩერებულია. საახალწლო არდადეგების დასრულების შემდეგ, დე ფაქტო მთავრობა სიტუაციაში გარკვევას და გამოსავლის პოვნას შეეცდება.

06.01.2017 АИААИРА http://aiaaira.com/news/incidents/voennye_ucheniya_po_unichtozheniyu_istorii/

06.01.2017